განმარტებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ 2008 წლის 31 ივლისს გაიცა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ მთაწმინდა –კლრწანისის რ/ში, რესპუბლიკური თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის შ.პ.ს. ცენტრ პოინტ ჯგუფისა და ცენტრ პოინტ კრწანისის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (სახლი №1) მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა ბრძანება №6/1150 24.07.2008 წელი.

აძვე დავძენთ, რომ საქართველოს კანონი, 27 ივნისის 2015 წლის №3818-რს თანახმად ადგილობრივი მოსაკრებლის ცვლილებასთან დაკავშირებით, მუხლი 1, მუხლი 17-4 სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებლის გადახდისგან განთავისუფლების შესახებ.

ვითხოვთ მოგვიხსნათ კ2-ის მოსაკრებელი.

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური

მშენებლობის სანებართვო მოწმობა № 6/1150-1

ნებართვის გაცემის თარიღი: „24" 07 2008 წ.

მშენებლობის დაწყების თარიღი: 31 ივლისი, 2008 წ.

ნებართვა ძალაშია: 31 ოქტომბერი, 2009 წ.

დამკვეთი: შ.პ.ს "ცენტრ პოინტ ჯგუფი"
(დასახელება)

მშენებლობის ობიექტი: მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი (სახლი №1)
(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

მთაწმინდა-კრწანისის რაიონი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის
(მისამართი/ადგილმდებარეობა)

სარეგისტრაციო №64540/07 22.05.07; საკადასტრო №01/18/06/18/024
(მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო და საკადასტრო ნომერი)

პროექტი შეთანხმებულია: ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ (მის: ე. შარტავას ქ. №7)
(შემთანხმებელი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი)

ბრძანება №03/379 24.04.07წ.

ნებართვა გაიცა: ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ (მის: ე. შარტავას ქ. №7)
(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, მისამართი)

ბრძანება № 6/1150 „24. 07" 2008 წ.

2.095

ნებართვაზე ხელისმომწერი პირი:

TBILISI CITY HALL

სამსახურის მშენებლობის სანებართვო განყოფილების უფროსი
(თანამდებობა)

ბ. ა.

24.07.08

შემსრ: თ. მენაბდე

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 6/1150

„24" 07 2008 წ. ქ. თბილისი

ქ. თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის შ.პ.ს "ცენტრ პოინტ ჯგუფი"-ს "ცენტრ პოინტ კრწანისი"-ს ფილიალის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (სახლი №1) მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.

დამკვეთი: - შ.პ.ს "ცენტრ პოინტ ჯგუფი"
საპროექტო ორგანიზაცია: - შ.პ.ს. „არსი"
ავტორი: - დ. ავალიშვილი, თ. ალავერდაშვილი, გ. ინასარიძე

საფუძველი: - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა (სარეგისტრაციო №64540/07 22.05.07; საკადასტრო №01/18/06/18/024);
- ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 24.04.07წ. №03/379 ბრძანება პროექტის შეთანხმების შესახებ;
- მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/667-1 25.07.07წ.

მიწის ნაკვეთის ფართი	- 7961.55 მ²
მათ შორის:	
საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართი	- 2269.7 მ²
მოშენების ფართი	- 847.16 მ²
საერთო სამშენებლო ფართი	- 7278.8 მ²
ბინების ფართი	- 4631.79 მ²
ტერასების ფართი	- 1365.15 მ²
ავტოსადგომების ფართი	- 1160.0 მ²
კიბის, ლიფტის და ჰოლის საერთო ფართი	- 421.3 მ²
სამშენებლო მოცულობა	- 23742.9 მ³

თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005 წლის №140-ე დადგენილების მე-5 თავისა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის შ.პ.ს "ცენტრ პოინტ ჯგუფი"-ს "ცენტრ პოინტ კრწანისი"-ს ფილიალის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (სახლი №1) მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა;
2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2008 წლის 31 ივლისიდან 2009 წლის 31 ოქტომბრამდე.

- მშენებლობის ეტაპები: ძირითადი მზიდი კონსტრუქციების სამშენებლო სამუშაოების დამთავრება, დარჩენილი სამუშაოები, ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ქ. შარტავას ქ. №7) და ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: სარაჯიშვილის გამზ. №1ა) ერთი თვის ვადაში.

საშსახურის მარჯვენა სანაპიროს
სანებართვო განყოფილების უფროსი - ლ. შაბურიშვილი

შემსრ: თ. მუნაძე

საქართველოს კანონი

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №21-22, 14.06.1998, გვ. 6) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 17^2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილ ორგანოს, ქალაქ თბილისში – ქალაქ თბილისის მთავრობას უფლება აქვს, შენობა-ნაგებობის მშენებლობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარების და მისი იერსახის გაუმჯობესების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადამხდელთან, რომელსაც ამ მუხლის ამოქმედების დროისათვის აქვს ამ მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება, მოსაკრებლის გადამხდელის წერილობითი განცხადების საფუძველზე დადოს შეთანხმება გადასახდელი მოსაკრებლის გადახდის გადავადების შესახებ. ამ შეთანხმების დადებისას მოსაკრებლის გადამხდელმა უნდა აიღოს ვალდებულება, რომ იგი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ განცხადებას წარუდგენს უფლებამოსილ ორგანოს მოსაკრებლის გადამხდელის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის 1 იანვრისა, და რომ შენობა-ნაგებობა დააკმაყოფილებს ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 17^4 მუხლი:

„მუხლი 17^4. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლება

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადამხდელი თავისუფლდება ამ მუხლის ამოქმედებამდე გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის გადაუხდელი მოსაკრებლის გადახდისაგან, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) ობიექტის მშენებლობის ნებართვა 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით გაიცა ან საპროექტო დოკუმენტაცია (არქიტექტურული პროექტი) უფლებამოსილ ორგანოსთან 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით შეთანხმებული იყო, ხოლო მშენებლობის ნებართვა შემდეგ გაიცა;

ბ) ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, უფლებამოსილი ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს 2018 წლის 1 იანვრამდე გამოსცემს;

გ) ობიექტი მთლიანად ან ობიექტის არანაკლებ 60%-ისა განკუთვნილია საცხოვრებლად.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

27 ივნისი 2015 წ.

N3818-რს